



ავტორებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო

ყველაფერი, რაც საჭიროა სტატიის წარსადგენად — თემებიდან და ფორმატებიდან დაწყებული, გაფორმებისა და წარდგენის მოთხოვნების ჩათვლით.

რეკომენდებული თემები

სტატიებმა ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივ ცნობიერების, დემოკრატიული მმართველობის, სამართლის უზენაესობისა და სამოქალაქო ჩართულობის განვითარებას; ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირის გაფართოების პროცესების გააზრებას, მათ შორის საქართველოსა და სხვა ევროკავშირის წევრობის მსურველი ქვეყნების კონტექსტში; რეგიონული უსაფრთხოების, ჰიბრიდული საფრთხეებისა და დეზინფორმაციის უკეთ გაანალიზებას; ევროკავშირისა და მის აღმოსავლეთ სამეზობლოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების შესწავლას; ასევე ევროკავშირის ღირებულებების დამკვიდრებას და მისი ინსტიტუტების და მიმდინარე პროცესებისა და მმართველობის უკეთ გაცნობას.

წარდგენილი მასალების თემატური არეალი არ შემოიფარგლება ზემოაღნიშნული საკითხებით. ჩვენ ასევე მივსალმებით ანალიზს გლობალური უსაფრთხოების უფრო ფართო პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენს ევროპასა და ევროკავშირის წევრობის მსურველ ქვეყნებზე, აგრეთვე ნაშრომებს, რომლებიც აძლიერებს დემოკრატიულ მდგრადობას, ეწინააღმდეგება დეზინფორმაციასა და პროპაგანდას და მოქალაქეებს ეხმარება რთული საზოგადოებრივი გამოწვევების კრიტიკულ გააზრებაში.

შენიშვნა: ცენტრის არაპარტიული ხასიათის შესაბამისად, სტატიებში პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს ანალიზსა და გააზრებას და არა პოლიტიკურ რიტორიკას ან პარტიულ ადვოკატირებას.

სტატიების ტიპები

თვალსაზრისი (Opinion Paper)

თვალსაზრისი უნდა ავითარებდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ და დასაბუთებულ არგუმენტს ცენტრის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხზე. ავტორისგან მოითხოვება მკაფიო პოზიციის დაფიქსირება და მისი გამყარება მტკიცებულებებით, ლოგიკური მსჯელობითა და შესაბამისი კონტექსტუალური ანალიზით. ნორმატიული შეფასებები დასაშვებია, თუ ისინი მკაფიოდ არის ფორმულირებული და ეყრდნობა სანდო წყაროებს. სტრუქტურა მკითხველს უნდა გაუძღვეს პრობლემის განსაზღვრიდან არგუმენტაციის გზით ლოგიკურ დასკვნამდე, ანალიტიკური სიღრმის პრიორიტეტით და არა ადვოკატირებით.

(სარეკომენდაციო მოცულობა: 2 000 სიტყვამდე)

კომენტარი (Commentary)

კომენტარი წარმოადგენს მოკლე და აქტუალურ ანალიზს უახლესი მოვლენის ან მისი განვითარების შესახებ. ავტორმა ყურადღება უნდა გაამახვილოს კონტექსტის ახსნაზე, მნიშვნელობის შეფასებასა და უშუალო შედეგების გამოკვეთაზე. აქცენტი უნდა გაკეთდეს სიცხადეზე, აქტუალობასა და ანალიტიკურ ხედვაზე, და არა ამომწურავ განხილვაზე ან ნორმატიულ რეკომენდაციებზე. ტექსტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ინფორმირებული,

თუმცა არასპეციალისტი აუდიტორიისთვის და ამავდროულად ინარჩუნებდეს ანალიტიკურ სიზუსტეს.

(სარეკომენდაციო მოცულობა: 1 200 სიტყვამდე)

პოლიტიკის მიმოხილვა (Policy Brief)

პოლიტიკის მიმოხილვა უნდა იყოს სტრუქტურირებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და გადაწყვეტილებაზე ორიენტირებული. ავტორისგან მოითხოვება კონკრეტული პოლიტიკის პრობლემის მკაფიო განსაზღვრა, კონტექსტის მოკლე ანალიზი და რეალისტური ალტერნატივების ან რეკომენდაციების წარმოდგენა. ტექსტში პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს სიზუსტეს, განხორციელებადობასა და პოლიტიკის შემუშავებლებისა და პრაქტიკოსებისთვის პრაქტიკულ მნიშვნელობას, ხოლო პირადი შეხედულებები დაქვემდებარებული უნდა იყოს ანალიტიკურ შეფასებას.

(სარეკომენდაციო მოცულობა: 1 700 სიტყვამდე)

ბლოგი (Blog)

ბლოგი იძლევა უფრო მოქნილ და თავისუფალი მიდგომის საშუალებას. ავტორს შეუძლია გამოიყენოს ნარატიული ან კვლევითი ტონი, ფაქტობრივი სიზუსტისა და ანალიტიკური შესაბამისობის დაცვით. ბლოგის მიზანია ფართო აუდიტორიის ჩართვა, კრიტიკული აზროვნების წახალისება და პირადი დაკვირვებებისა თუ გამოცდილების დაკავშირება ფართო საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ კონტექსტთან.

(სარეკომენდაციო მოცულობა: 1 000 სიტყვამდე)

ევროკავშირი დეტალებში (EU Unpacked)

„ევროკავშირი დეტალებში“ არის საგანმანათლებლო ფორმატი, რომელიც განმარტავს, როგორ ფუნქციონირებს ევროკავშირი პრაქტიკაში. იგი ევროკავშირის რთულ ინსტიტუტებს, პოლიტიკებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს მარტივ და გასაგებ ენაზე ხსნის. ფორმატის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ევროკავშირის შესახებ, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრობის მსურველ ქვეყნებში, მითების, სტერეოტიპებისა და ემოციური ნარატივების ფაქტებითა და სიცხადით ჩანაცვლების გზით.

(სარეკომენდაციო მოცულობა: 1 000 სიტყვამდე)

ფაქტები და მანიპულაცია (Facts vs. Manipulation)

„ფაქტები და მანიპულაცია“ წარმოადგენს ფაქტების გადამოწმებასა და ანალიტიკურ ფორმატს, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირთან, დემოკრატიასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მცდარი ნარატივების, დეზინფორმაციისა და მანიპულაციის იდენტიფიცირებას, გამოვლენასა და გასწორებას. ფორმატი სისტემურად უპირისპირებს დადასტურებულ ფაქტებს ყალბ ან დამახინჯებულ მტკიცებებს და მკითხველს სთავაზობს სანდო ინფორმაციასა და კონტექსტს. იგი ემსახურება EUAC-ის მისიას — გააძლიეროს დემოკრატიული მდგრადობა და დაუპირისპირდეს ჰიბრიდულ და საინფორმაციო ომს.

(სარეკომენდაციო მოცულობა: 500 სიტყვამდე)

წიგნის მიმოხილვა (Book Review)

წიგნის მიმოხილვა წარმოადგენს ახლად გამოცემული ან მნიშვნელოვანი წიგნის კრიტიკულ და ანალიტიკურ შეფასებას ცენტრის ინტერესთა სფეროს ფარგლებში. იგი აჯამებს ნაშრომის

ძირითად არგუმენტებს, აფასებს მის წვლილს პოლიტიკური, ისტორიული ან საზოგადოებრივი პროცესების გაგებაში და ათავსებს მას უფრო ფართო დებატების კონტექსტში. ტონი უნდა იყოს გაწონასწორებული და რეფლექსიური, ინფორმირების მიზნით და არა დამოუკიდებელი არგუმენტის გასავითარებლად.

(სარეკომენდაციო მოცულობა: 1 500 სიტყვამდე)

ისტორიული პერსპექტივა (Historical Perspective)

ისტორიული პერსპექტივა თანამედროვე პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს ფართო ისტორიულ კონტექსტში განიხილავს. იგი იკვლევს წარსულ მოვლენებს, იდეებსა და პროცესებს, რათა გაანათოს მიმდინარე გამოწვევები და გრძელვადიანი ტენდენციები, რომლებიც გავლენას ახდენს ევროპასა და მის სამეზობლოზე. ტექსტი ანალიტიკური და ინტერპრეტაციული ხასიათისაა, ეყრდნობა ისტორიულ მტკიცებულებებს, ამცირებს გამარტივებულ ნარატივებს და ხელს უწყობს უფრო ინფორმირებულ საზოგადოებრივ დებატს.

(სარეკომენდაციო მოცულობა: 2 500 სიტყვამდე)

ინტერვიუ (Interview)

ინტერვიუ წარმოადგენს სიღრმისეულ საუბარს მკვლევართან, პოლიტიკის შემუშავებელთან, პრაქტიკოსთან ან საჯარო ინტელექტუალთან, რომლის ექსპერტიზა დაკავშირებულია EUAC-ის ინტერესთა სფეროსთან. მისი მიზანია ასახოს ინფორმირებული ხედვები, პროფესიული გამოცდილება და ანალიტიკური შეფასებები ევროპასა და მის სამეზობლოზე ზემოქმედი მიმდინარე ან გრძელვადიანი საკითხების შესახებ. სტრუქტურა უზრუნველყოფს სიცხადესა და თანმიმდევრულობას, ინტერვიუერის ხმას კი ინარჩუნებს ცენტრალურ ადგილას.

(სარეკომენდაციო მოცულობა: 1 200–2 000 სიტყვა)

წარდგენის მოთხოვნები

ევროკავშირის ცნობიერების ცენტრში წარდგენილი სტატიები უნდა წარმოადგენდეს ავტორის ორიგინალურ ნაშრომს და არ უნდა იყოს ადრე გამოქვეყნებული. ნაშრომის მიღების შემთხვევაში, ცენტრი იძენს ექსკლუზიურ უფლებას მისი გამოქვეყნების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები ციტირებას არ საჭიროებს, ნებისმიერი მტკიცება ან დასკვნა უნდა იყოს გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით.

ციტირება: ავტორებს შეუძლიათ აირჩიონ ტექსტშიდა ჰიპერბმულებით ციტირება სქოლიოებისა და შენიშვნების გარეშე, ან [APA სტილის](#) ავტორი–თარიღი ციტირების სისტემა ბიბლიოგრაფიული სიის დართვით ტექსტის ბოლოს, ნომრების გარეშე. არჩეული მეთოდი ერთგვაროვნად უნდა იქნას გამოყენებული მთელ სტატიაში.

ენა და ანოტაციები

ჩვენ ვაქვეყნებთ მასალებს ქართულ, ინგლისურ (ბრიტანული ინგლისური), ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ქართულ ენაზე წარმოდგენილ სტატიებს უნდა ახლდეს გაფართოებული ანოტაცია ინგლისურ ენაზე (300–400 სიტყვა).

ქართველ ავტორებს, რომლებიც სტატიას წარადგენენ არაქართულ ენაზე, ევალუბათ გაფართოებული ანოტაციის მიწოდება ქართულად.

ფრანგულ ან გერმანულ ენებზე წარდგენილ სტატიებს უნდა ახლდეს გაფართოებული ანოტაცია ინგლისურად და, თუ ავტორი ქართველია, ასევე ქართულად.

გაფორმება

სათაური: Calibri, მუქი (bold), 12 pt

ავტორის სახელი და გვარი: Calibri, კურსივი (italic), 11 pt

მოკლე ანოტაცია (მაქს. 100 სიტყვა): Calibri, 11 pt

ძირითადი ტექსტი: Calibri, 11 pt (Normal სტილი)

თარიღი: Calibri, 11 pt

პორტრეტული ფოტო და ავტორის ბიოგრაფია (100 სიტყვამდე): Calibri, 10 pt, კურსივი

ტექსტი უნდა იყოს გაფორმებული 1.5-სტრიქონიანი ინტერვალით და ყველა მხრიდან 1 დუიმიანი (2.54 სმ) მინდვრებით.

წარდგენა

სტატიები Word ფორმატში უნდა გაიგზავნოს მისამართზე:

submissions[at]euawareness[dot]org.

გთხოვთ, გაგზავნამდე დარწმუნდეთ, რომ თქვენი ნაშრომი აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. ყველა წარდგენილი მასალა განიხილება სარედაქციო საბჭოს მიერ, რომელიც პასუხს გაგცემთ ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.

ჰონორარი

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ევროკავშირის ცნობიერების ცენტრი არ გასცემს ფინანსურ ანაზღაურებას დაუკვეთავი ან დამოუკიდებლად წარდგენილი სტატიებისთვის.